პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2022 წლის —— სექტემბერი ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქ. ბათუმში, ძმები ზუბალაშვილების ქ. N36–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე, პეტრე მანჯგალაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. პეტრე მანჯგალაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, ძმები ზუბალაშვილების ქ. №36-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა.
2. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, ძმები ზუბალაშვილების ქ. N36–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე, პეტრე მანჯგალაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

აა) პროექტის ძირითადი არსი:

მეცნიერი, გეოფიზიკოსი, რომის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი პეტრე მანჯგალაძე დაიბადა 1944 წლის 2 მარტს. 1967 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და იმავე წელს დაიწყო მუშაობა გეოფიზიკის ინსტიტუტის რეგიონალური სეისმოლოგიის განყოფილებაში, უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

1972-1975 წლებში სწავლობდა ასპირატურაში, ხოლო 1976 წელს პროფესორ ე. სავარენსკის ხელმძღვანელობით დაიცვა დისერტაცია თემაზე ,,რეილის ტალღების სამგანზომილებიანი მოდელირება ჰორიზონტალურ ჰეტეროგენულ გარემოში" .

დისერტაციის დაცვის შემდეგ ის არჩეულ იქნა უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

1976-79 წწ. პ. მანჯგალაძე იყო გეოფიზიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, რომლის დროსაც მისი ხელშეწყობით გეოფიზიკის ინსტიტუტში დაცულ იქნა არაერთი სამეცნიერო ხარისხი.

1983 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (გ. 1993 წ. იტალიაში) მუშაობდა მთავარ გეოფიზიკოსად გეოფიზიკის ინსტიტუტთან არსებულ საცდელ-მეთოდური გეოფიზიკურ ექსპედიციაში.

პეტრე მანჯგალაძე ავტორია 80 მეცნიერული ნაშრომის. მის მიერ შექმნილი იყო ჯგუფი რომელმაც დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ტერიტორიაზე სეისმური ქსელის შექმნას.

პ. მანჯგალაძე სრულყოფილად ფლობდა ინგლისურ, იტალიურ და რუსულ ენებს.

იგი არჩეული იყო რომის უნივერსიტეტის პროფესორად. იყო შესანიშნავი პიროვნება, ჭეშმარიტი მეცნიერი რომლის სახელი მრავალ წელს ემახსოვრებათ მის კოლეგებს და მეგობრებს.

გარდაიცვალა 1993 წელს და დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

აბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ძმები ზუბალაშვილების ქ. N36–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს პეტრე მანჯგალაძის სახელობის მემორიალური დაფა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

თვითმმართველი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულ-ტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე ლევან ცხოიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის სააგენტო

G E O R G I A
ENTITY OF PUBLIC LAW
Cultural Heritage
Protection Agency
Of Ajara

MES 8 22 0001134082

21/09/2022

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის კომიტეტის
თავმჯდომარეს ბატონ ლევან ცხოიძეს

ბატონო ლევან,

სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ განიხილა, თქვენს მიერ 2022 წლის 21 სექტემბერს წარმოდგენილი №1130646 განცხადება, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ ბათუმში, ზუბალაშვილის ქუჩა 36-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ფასადზე მემორიალური დაფის განთავსებას. სააგენტო არ არის წინააღმდეგი მემორიალური დაფის განთავსების მიზნით სამუშაოები აწარმოოთ ისე, რომ არ მიადგეს ზიანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

პატივისცემით,

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ახვლედიანი ზაურ

6010 ქ. ბათუმი ალ. გუდიაშვილის ქ. №4
N4 L. Gudiashvili street, Batumi 6010
Tel./Fax: +995 422 225 602

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის აპარატი

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
ADMINISTRATION OF GOVERNMENT

N 5097/02
04/11/2021

5097-02-2-202111041727

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ლელა სურმანიძეს

ასლი: საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს
ბატონ გიორგი კვესიტაძეს

ქალბატონო ლელა,

გეგზავნებათ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში შემოსული, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის 2021 წლის 13 ოქტომბრის N010107-465/221 წერილი.

გთხოვთ, განიხილოთ და განხილვის შედეგები აცნობოთ წერილის ავტორს.

დანართი: „1“ ფურცელი.

პატივისცემით,

ჯაბა სურმანიძე

მთავრობის აპარატის უფროსი

6010 ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას 9
6010 Batumi, Georgia. 9, Gamsakhurdia Str.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0108 თბილისი, რუსთაველის პროსპ. 52
დეპეშებისათვის: თბილისი 8, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: +(995 32) 299-00-52; +(995 32) 299-88-91
ელ. ფოსტა: kancelaria@science.org.ge
academy@science.org.ge

"13" 10 2021 წ.
№ 010107-465/221
თქვ. №

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარეს
ბატონ **თორნიკე რიჟვაძეს**

ბატონო თორნიკე,

მოგმართავთ თხოვნით, რათა გამოჩენილ მეცნიერს, პეტრე მანჯგალაძეს, რომელიც თქვენი რეგიონის საპატიო მკვიდრი იყო და ცხოვრობდა ბათუმში, შეუქმნათ მემორიალური დაფა მის საცხოვრებელ სახლზე, მისამართით ბათუმი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N 36 (ყოფილი კალინინის 36), შემდეგი ტექსტით: „ამ სახლში 1944 წლის 1 მარტს დაიბადა და 1992 წლამდე ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი გეოფიზიკოსი, რომის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი პეტრე მანჯგალაძე".

პატივისცემით,

პრეზიდენტი
გიორგი კვესიტაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტი
№ 6054/01
01 11 2021 წ.
ადრესატი _____ ადგილი _____ ფასადი _____